

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის
ჩატარების წესის შესახებ

რეგლამენტი

თბილისი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1¹ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 23¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე დამტკიცდეს რეგლამენტი „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის შესახებ“.

მუხლი 1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მიზანი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მიზანია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარება და მათი ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში.

მუხლი 2. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამოცხადება და ჩატარების ზოგადი წესი

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება ერთხელ ყოველ სემესტრში, იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის წარდგინებით და ცხადდება იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.
2. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უწევს იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური.
3. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურთან ერთად, იურიდიული ფაკულტეტის როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისგან ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას, რეგლამენტის მე-4 მუხლით განსაზღვრული სექციების მიხედვით.
4. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომის თემატიკა თანხმდება სტუდენტის მიერ საკონფერენციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელთან.
5. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრაციისთვის წინასწარ განსაზღვრულ ვადაში და ამ რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე.
6. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება სამ ეტაპად:

- ა) ნაშრომების შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამით და ხელმძღვანელის დასკვნა ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
- ბ) შესაბამისი მიმართულების პროფესორების მიერ ნაშრომთა შეფასება და საუკეთესო ნაშრომების გამოვლენა შემდეგ ეტაპზე გადასვლის მიზნით;
- გ) შერჩეულ მონაწილეთა მოხსენებების წარდგენა ზეპირი ფორმით ჟიურის წინაშე

მუხლი 3. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ნებისმიერი სემესტრის სტუდენტებს.
2. საკონფერენციო ნაშრომის მომზადება და წარმოდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალურად. თითოეულ სტუდენტს მონაწილეობის მიღება შეუძლია მაქსიმუმ ორ სხვადასხვა სექციაში თითო მოხსენებით.

მუხლი 4. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის სექციები

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება შემდეგ სექციებში:

- ა) კერძო სამართლის მიმართულება;
- ბ) სისხლის სამართლის მიმართულება;
- გ) კონსტიტუციური სამართლის მიმართულება;
- დ) ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება;
- ე) საერთაშორისო სამართლის მიმართულება;
- ვ) სამართლის ისტორიის მიმართულება;
- ზ) სამართლის მეთოდების მიმართულება.

მუხლი 5. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, ფორმა და ხარვეზის დადგენა

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დარეგისტრირებისთვის განსაზღვრულია შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) კონფერენციაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტის განაცხადი (იხ. **დანართი №1**);
 - ბ) ხელმძღვანელის მიერ გაცემული მიზანშეწონილობის წერილი (თანხმობა) (იხ. **დანართი №2**), რომლის გაცემა შეუძლია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს. ხელმძღვანელის მიზანშეწონილობის/თანხმობის წერილი გაიცემა სტუდენტის მიერ საკონფერენციო ნაშრომის დასრულების შემდგომ;
 - გ) საკონფერენციო ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ საორიენტაციო მოცულობას და მის მიმართ წაყენებულ აკადემიურ და ტექნიკურ მოთხოვნებს (იხ. **დანართი №3 / დანართი №4**).
2. საკონფერენციო ნაშრომი და მოთხოვნილი დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს Word-ის და PDF ფაილის სახით, ელექტრონულ ფოსტაზე lawconference@tsu.ge.
3. საკონფერენციო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის 15-დან არაუმეტეს 20 გვერდისა, სატიტულო ფურცლის და ბიბლიოგრაფიის გარეშე.
4. სტუდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს საკონფერენციო ნაშრომის შესრულების აკადემიური / ტექნიკური მოთხოვნები და ციტირების სტანდარტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი ჩაითვლება კონფერენციისთვის შეუსაბამოდ / პლაგიატად და მოიხსნება კონფერენციიდან: პლაგიატად ჩაითვლება ნაშრომი, რომელშიც:

- ა) ციტირებულია სხვა ავტორის აზრი და არ არის გამოყენებული ბრჭყალები ავტორის/წყაროს მითითებით ან ტექსტი არ გამოიყოფა სხვა საშუალებით (მუქი შრიფტი, დახრილი შრიფტი).
 - ბ) გაკეთებულია პერიფრაზი, რომელშიც ორიგინალური ტექსტის ფრაზები მცირედით არის შეცვლილი და წარმოდგენილია, როგორც საკუთარი.
 - გ) გამოყენებულია სხვა კვლევის შედეგები, მათ შორის, საკუთარი (სტატია, პროექტი, წიგნი), რომელსაც არ აქვს მითითებული წყარო.
 - დ) გამოყენებულია სხვადასხვა ვებგვერდის მასალა (კვლევის შედეგები, ცხრილები, გრაფიკები და ა.შ.) წყაროს მითითების გარეშე.
5. კონფერენციის ორგანიზატორი ან ჟიური ხარვეზის დადგენის შემთხვევაში უფლებამოსილია კონკურსანტისგან ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა ან დაზუსტება. თუ მოთხოვნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტის მიერ არ იქნა ხარვეზი გამოსწორებული, სტუდენტის განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 6. ნაშრომების შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამით და ხელმძღვანელის დასკვნა ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმებულ ნაშრომზე

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დარეგისტრირებისათვის განსაზღვრული ვადის დაცვით კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა საკონფერენციო ნაშრომი უნდა ატვირთოს “E-Learning”-ის სასწავლო ბაზაში, პროგრამა “Turnitin”-ის გამოყენებით პლაგიატზე შემდგომი შემოწმების მიზნით.
2. საკონფერენციო ნაშრომის ანტიპლაგიატის პროგრამაში ატვირთვის შემდეგ, ჟიურის უნდა წარედგინოს ხელმძღვანელის დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ანტიპლაგიატმა აჩვენა 30%-ზე მეტი.

მუხლი 7. შესაბამისი მიმართულების პროფესორების მიერ ნაშრომთა შეფასება და საუკეთესო ნაშრომების გამოვლენა შემდეგ ეტაპზე გადასვლის მიზნით

1. ნაშრომები თემატიკის მიხედვით, გადაეცემა იურიდიული ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების საკონკურსო კომისიას შესაფასებლად, რის შედეგადაც შეირჩევა კონფერენციაზე წარმოსადგენი მოხსენებები.
2. წერილობითი ნაშრომი ფასდება 60 ქულით. შეფასების კრიტერიუმებია (იხ. დანართი №5):
 - ა) თემის აქტუალობის წარმოჩენა და მიღებული შედეგების დასაბუთება (20 ქულა);
 - ბ) თავისუფალი აზროვნება და დასკვნების გაკეთების უნარი (20 ქულა);
 - გ) ნაშრომის აკადემიური და ტექნიკური შეფასება (მათ შორის, დაცულია თუ არა სტრუქტურის ლოგიკური ხაზი და ციტირება) (20 ქულა).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეფასებიდან 40 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე.

მუხლი 8. შერჩეულ მონაწილეთა მოხსენებების წარდგენა ზეპირი ფორმით ჟიურის წინაშე

1. კონფერენციისთვის შერჩეულ მონაწილეებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი და შესაბამისი ინსტრუქცია ეცნობებათ წინასწარ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

2. კონფერენცია ტარდება სრულად ფიზიკური ფორმით, ხოლო ზეპირი მოხსენების ეტაპის დისტანციურად ჩატარება შესაძლებელია გამონაკლისის სახით, რაზეც გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საკონკურსო კომისია.
3. კონფერენციაზე მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ 10-წუთიანი მოხსენებები, სავალდებულოა Power Point-ის გამოყენება. დისკუსიისათვის განსაზღვრულია 5 წუთი.
4. ზეპირი პრეზენტაცია ფასდება 40 ქულით (გამოიანგარიშება საშუალო ქულა). შეფასების კრიტერიუმებია (იხ. **დანართი №5**):
 - ა) პრეზენტაციის ეფექტურობა (20 ქულა);
 - ბ) დისკუსიის წარმოების უნარი (20 ქულა).
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შეფასებიდან 20 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება საბოლოო შეფასების ეტაპზე.

მუხლი 9. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულების გამოვლენა

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თითოეული სექციისათვის სპეციალურად დაკომპლექტებული ჟიური, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, გამოავლენს სამ გამარჯვებულს (I, II და III ადგილი).
2. ქულათა გათანაბრების შემთხვევაში საპრიზო ადგილი ენიჭება თანაბარი ქულის მქონე მონაწილეებს, სხვა შემთხვევაში არა.
3. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის შედეგები მონაწილეებს ეცნობებათ კონფერენციის გამარჯვებულების გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 დღეში, იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდის მეშვეობით.
4. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გამოვლენილ გამარჯვებულებსა და მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

მუხლი 10. აპელაციის უფლება

1. კონკურსანტს უფლება აქვს შედეგების გაცნობიდან 1 დღის ვადაში გაასაჩივროს:
 - ა) მეორე ეტაპზე დაშვებაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება;
 - ბ) საბოლოო შეფასების შედეგები.
2. აპელაციას იხილავს შესაბამისი საკონკურსო კომისია.

მუხლი 11. რეგლამენტის ამოქმედება

რეგლამენტი ამოქმედდეს თსუ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

დანართი №1

განაცხადის ფორმა

სახელი, გვარი:

თემის სათაური:

სექციის დასახელება:

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო სემესტრი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელფოსტის მისამართი:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამეცნიერო ხარისხი:

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში:

დანართი №2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის

ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურს

.....
(მიუთითეთ აკადემიური თანამდებობა/სტატუსი, სახელი/გვარი)

მიზანშეწონილობის წერილი (თანხმობა)

ემლევა საგანმანათლებლო პროგრამის სემესტრის
სტუდენტს:, იმის დასტურად, რომ
შერჩეული თემა:
.....აქტუალურია
და წარმოდგენილი ნაშრომი აკმაყოფილებს საკონფერენციო ნაშრომის
შესრულების აკადემიურ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

/ხელმოწერა/

.....

/თარიღი/

.....

დანართი №3

საკონფერენციო ნაშრომის შესრულების აკადემიური / ტექნიკური მოთხოვნები და ბიბლიოგრაფია

საკონფერენციო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

1. ნაშრომს უნდა ჰქონდეს **სატიტულო ფურცელი**, სადაც აღინიშნება: უნივერსიტეტის ლოგო, უნივერსიტეტის სახელწოდება, ფაკულტეტის სახელწოდება, ავტორის სახელი და გვარი, სტატუსი, თემის სახელწოდება, თემის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ადგილი (სადაც შესრულებულია ნაშრომი), წელი.
2. ნაშრომის ძირითადი, ქართულენოვანი ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს **Sylfaen-ში - 12 ფონტში** (სქოლიო იმავე ფონტის 10-იანი შრიფტით). ძირითად ტექსტსა და სქოლიოში ხაზებს შორის მანძილი უნდა იყოს 1.0.
3. ნაშრომი უნდა შესრულდეს **A4** ფორმატის **word-ის** დოკუმენტში, მინდორი, ოთხივე მხრიდან უნდა იყოს **2-2-2-2 სმ**.
4. სტატია უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული, შემდეგი შემადგენლობით:
 - **სატიტულო ფურცელი;**
 - **სარჩევი;**
 - **შესავალი;**
 - **ძირითადი ნაწილი** (სტრუქტურულად უნდა იქნეს ჩაშლილი);
 - **დასკვნა;**
 - **ბიბლიოგრაფია.**
5. შესავალი და დასკვნა არ ინომრება, ხოლო ნაშრომის ძირითადი ნაწილი სტრუქტურულად უნდა იქნეს ჩაშლილი: თავებად, ქვეთავებად და ა.შ. და შესაბამისად დანომრილი: 1.; 1.1.; 1.2.; 1.2.1.; 1.2.2.; 1.3. და ა.შ.
6. ტექსტი, ძირითადად, უნდა გადმოიცეს III პირში, ავტორი საკუთარი პოზიციის გამოსახატავად მაქსიმალურად უნდა მოერიდოს პირველ პირში თხრობას.
7. სქოლიო უნდა განთავსდეს ყოველი გვერდის ბოლოში.
8. სქოლიოში ერთხელ გამოყენების შემდეგ, როდესაც მომდევნოდ მეორდება იგივე წყარო, უნდა მიუთითოთ – *იქვე (იტალიკით)*, და შემდეგ შესაბამისი გვერდის ნომერი;
9. ქართული ტექსტისათვის უნდა გამოიყენოთ ე.წ. ქვედა და ზედა ბრჭყალები („...“), ხოლო უცხოენოვანი ტექსტისათვის კი - ზედა ბრჭყალები („...“).
10. ყოველი ახალი მითითებისას გამოყენებული წყარო მიუთითეთ სრულყოფილად. არ გამოიყენოთ შემდეგი აღნიშვნები - დასახ. ნაშრომი, ან მითითებული ნაშრომი.
11. მეორეული წყაროს გამოყენების შემთხვევაში, თავდაპირველად უნდა მიეთითოს ის ნაშრომი, რომელშიც ავტორი გაეცნო პირველად წყაროს.
12. **ბიბლიოგრაფიაში წყაროები უნდა განთავსდეს . კონსოლიდირებული და ნუმერირებული სახით შემდეგი თანმიმდევრობით:**
 - ქართულ ენაზე მითითებული ნორმატიული მასალა და აქტები (მიღების თარიღის მითითებით);
 - ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა ანბანური თანმიმდევრობის დაცვით;
 - ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები (უახლესიდან უძველესისკენ);
 - ინგლისურ ენაზე მითითებული ნორმატიული მასალა და სხვა აქტები;

- სხვა ენებზე მითითებული ნორმატიული მასალა და სხვა აქტები (უახლესიდან უძველესისკენ);
- ინგლისურენოვანი სამეცნიერო წყაროები ანბანური თანმიდევრობის დაცვით;
- სხვა ენებზე მითითებული სამეცნიერო ნაშრომები ანბანური თანმიდევრობის დაცვით;
- ინგლისურ ენაზე მითითებული უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები (უახლესიდან უძველესისკენ);
- სხვა ენებზე მითითებული უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები (უახლესიდან უძველესისკენ);
- ნაშრომში დამოუკიდებლად (წყაროს სახელწოდების გარეშე) მითითებული ელექტრონული ბმულები.

დანართი №4

ციტირების სტანდარტი

სამართლებრივი აქტი:

აუცილებელია სქოლიოში მიეთითოს მისი სრული დასახელება, მუხლი, პუნქტი/ნაწილი, წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა და სამართლებრივი აქტის მიღების თარიღი.

- საქართველოს კონსტიტუცია, 28-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მე-18 მუხლი, სსმ, 75, 17/12/2010.
- Constitution of Spain, 31/10/1978.

ძალადაკარგული სამართლებრივი აქტი:

აუცილებელია, აქტისთვის დადგენილი წესით (წესი №1) მითითებული ინფორმაციის ბოლოს ფრჩხილებში მიეთითოს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი და სიტყვა „ძალადაკარგულია“.

- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მე-7 მუხლი, პარლამენტის უწყებანი 45, 21/11/1997 (ძალადაკარგულია, 27/10/2015).

წიგნი:

ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი (დახრით), წიგნის სათაური (უბრჭყალებოდ), ნაწილის, ნაკვეთის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

- ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2018, 24.
- გასიტაშვილი ე., ბაქაშური ნ., ქარდავა ე., კარტოზია მ., ლიპარტია ნ., ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი, თბ., 2019, 110.
- Klaus H., Handbook on Probation Services, Rome, London, 1998, 15.

ნათარგმნი წყარო:

ნათარგმნი წყაროების გამოყენებისას, შესაბამისი ნაშრომის ავტორის გვარისა და სახელის ინიციალის, ნაშრომის სათაურის მითითების შემდეგ, მიეთითება მთარგმნელის გვარი და სახელის ინიციალი, ფრჩხილებში მიეთითება მისი სტატუსი (მთარგმნელი/მთარგმნელები), რედაქტორის გვარი და სახელის ინიციალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში „რედ“ ფრჩხილებში). ყველა გვარი და სახელის ინიციალი მიეთითება დახრით (იტალიკით).

- კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. (მთარგმნელები), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), მე-13 გამოც., თბ., 2014, § 631, აზზ. 1.

კრებულის სტატია:

აუცილებელია მიეთითოს: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი (დახრით), სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭყალებოდ), კრებულის სახელწოდება (უბრჭყალებოდ), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, ნაწილის, ნაკვეთის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი (თბილისის შემთხვევაში დასაშვებია შემოკლება – თბ., სხვა შემთხვევაში კი მიუთითეთ სრულად), წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

- ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, *ელიზბარაშვილი ნ. (რედ.)*, თბ., 2009, 236.
- Kennedy D., The Politics and Methods of Comparative Law, The Common Core of European Private Law, Essays on the Project, *Mattei U., Bussani M. (eds.)*, Hague, 2002, 143.

ჟურნალის (გაზეთის) სტატია:

აუცილებელია მიეთითოს: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი (დახრით), სტატიის სათაური (უბრჭყალებოდ), პერიოდიკის სახელშემოკლებით (ჟურნ., გაზ.,) სახელწოდება (ქართულენოვანი გაზ./ჟურნ.-ის შემთხვევაში ბრჭყალებში, უცხოენოვანი გაზ./ჟურნ.-ის შემთხვევაში ბრჭყალების გარეშე), ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე); უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამისი ოფიციალური თარგმანის მითითებით).

- მგელაძე თ., პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2018, 56-57.
- ბაინდურაშვილი ნ., სამოხელეო დავის განხორციელების სპეციფიკა, სამართლებრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(38), 2013, 116.
- Akkermans B., Sustainable Property Law?, European Property Law Journal, Vol. 7, Issue 1, 2018, 1.

ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული მასალა:

საჭიროებს შესაბამისი ინტერნეტგვერდისა და ბოლო განახლების თარიღის მითითებას; სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სტატიის სათაური, სათაურის შემდგომ მძიმე, ინტერნეტგვერდი, თარიღი. სამკუთხედ ფრჩხილებში (<....>) მიეთითება ელექტრონული მისამართი, კვადრატულ ფრჩხილებში ([....]) კი ბოლო განახლების თარიღი. სამკუთხედ და კვადრატულ ფრჩხილთა შორის მძიმე არ დაისმება.

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
<<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7413>> [18.06.2022].

საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებები:

საქმეებისა და მათი გადაწყვეტილებების სახელწოდებები ტექსტში გამოიყენება ქართულად (იტალიკით), სრულად კი ორიგინალის ენაზე შეიძლება იქვე მიეწეროს ან სქოლიოში მიეთითოს შემდეგი თანმიმდევრობით: მხარე მხარის წინააღმდეგ, წელი, გამომქვეყნებელი ორგანო, გვერდი, სასამართლო.

- Court of Justice
მაგ.: Case 16/62, Van Gend en Loos, [1963] ECR 95.
- European Court of Human Rights
მაგ.: Kostovski v. The Netherlands, [1990] ECHR (Ser. A.), 221.
- International Court of Justice
მაგ.: Maritime Delimitation and Territorial Questions Between Qatar and Bahrain, [1995] ICJ Reports.
- დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისთვის
ტექსტში მაგ.: საქმე არგილი არგილის წინააღმდეგ;
სქოლიოში მაგ.: Argyll v. Argyll, [1967] 1Ch 302,324, 332.
- აშშ-ის სასამართლოსთვის
ტექსტში მაგ.: საქმე ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ;
სქოლიოში მაგ.: Brown v. Board of Education, (1954), 347 US 483.

ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/2-389 „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-184-183(კ-16).
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი №2/5856-19.

საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტები:

საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტების დამოწმების წესი გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებგვერდები).

- OECD, G20/OECD Principles of Corporate Governance, OECD Publishing, Paris, <<http://dx.doi.org/10.1787/9789264236882-en>> [03.12.2019].

კონვენციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მითითება:

კონვენციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებისას, აუცილებელია მიეთითოს კონვენციის/საერთაშორისო ხელშეკრულების დასახელება, მუხლი/პუნქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წყარო, რომელშიც აღნიშნული კონვენცია/საერთაშორისო ხელშეკრულებაა გამოქვეყნებული, კონვენციის/ხელშეკრულების მიღების/ძალაში შესვლის თარიღი, შესაბამისი გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer, International Legal Materials, 1985, 1520.

დანართი №5

შეფასების ფორმა

სექცია			
სტუდენტი			
თემის სახელწოდება			
თითოეული კომპონენტის შეფასების მაქსიმალური ქულაა		20 ქულა	ჯამი
წერილობითი ნაშრომი	თემის აქტუალობის წარმოჩენა და მიღებული შედეგების დასაბუთება		
	თავისუფალი აზროვნება და დასკვნების გაკეთების უნარი		
	ნაშრომის აკადემიური და ტექნიკური შეფასება		
ზეპირი მოხსენება	პრეზენტაციის ეფექტურობა		
	დისკუსიის წარმოების უნარი		
წერილობითი ნაშრომისა და ზეპირი მოხსენების შეფასებათა ჯამი			
შემფასებლის ხელმოწერა / შენიშვნა			